ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6944231

ნომერი: AR11024134

თარიღი : 18.03.2024

გაცემის თარიღი : 21.03.2024

გაცნობის თარიღი : 21.03.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ჩილოჩავა პ/ნ 10001050352
- ქ.ბოლნისი გეოლოგების ქ#4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ნაგებობისათვის შესაბამისი ზუსტი ტრაექტორია);
- ფოტომონტაჟი: აღნიშნულ ველში წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟი (არსებული სიტუაციის ფოტოსურათზე დამუშავებული ის მონაკვეთები, რომელიც აღქმადი იქნება ზედაპირზე);
- არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება: წარმოსადგენია N01.13.07.002.097 მიწის ნაკვეთის შპს „ვახუშტი ბაგრატიონის 1“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405408107) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ზურაბი ბერულაშვილის (პირადი N13001005133) მიერ განმცხადებლის ლაშა ჩილოჩავას (პირადი N10001050352) სახელზე წერილობით გაცემული - სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება უფლებამოსილი მესაკუთრის სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ანუ პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურება (მინდობილობაში, ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად);
- წარმოსადგენია სამონტაჟო ტერიტორიის (მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს) თანხმობა;
- წარმოსადგენია ყველა ხაზობრივი ნაგებობის (რომელიც საპროექტო სამუშაოების არეალშია მოქცეული) თანხმობა/შეთანხმებული სქემა. მათ შორის აღსანიშნავია ასევე, რომ უკვე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კერძოდ: შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის მიერ გაცემული წერილი №0624-0897659 არ წარმოადგენს თანხმობას (მასში საუბარია არსებული შენიშვნების გათვალისწინებით, კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ საკითხის განხილვაზე). წარმოდგენილია ასევე სს „თელასი“-ს წერილი, რომელიც ასევე არ წარმოადგენს თანხმობას და ზემოაღნიშნულ თანხმობებს არ ერთვის თან შეთანხმებული სქემა.

დამატებით ასევე წარმოსადგენია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით გაცემული თანხმობები/პოზიცია:

ა) შპს თბილსერვის ჯგუფი (სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტი);

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური;

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.